




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მარტი, 2023


- 2023 წლის თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 5.8 პროცენტი, ხოლო 2023 წლის 2 თვის საშუალო ზრდა 7.1 პროცენტზე დაფიქსირდა
- მარტში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 5.3 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 5.0 პროცენტს
- თებერვალში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 6.3 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 5.4 პროცენტით, რამაც შეამცირა სავაჭრო დეფიციტი 13.9 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 508 მლნ აშშ დოლარს
- თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაიზარდა 13.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 0.7 პროცენტით წინა თვესთან
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0 პროცენტზე დატოვა

თებერვალში ეკონომიკურმა ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 5.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 10.1 პროცენტია.
- 2023 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: მშენებლობა, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება.
- კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი ქონების, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების სექტორებში.


ეკონომიკური ზრდა 2023-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2022 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 9.5 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 IV კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2022 წლის მეოთხე კვარტალში ეკონომიკა 9.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 9.7 პროცენტით. 2022 წლის მეოთხე კვარტალის ზრდა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 10.4 პროცენტის ბრძანს გულისხმობს.
- 2022 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 60.9% წ/წ (2.7 პ.პ.)
 - შინამეურნეობის, როგორც დამუშავების, საქმიანობის, არადიდერენციული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობის მიერ საკუთარი მიხმარებისათვის: 0.05 პ.პ.)
 - მშენებლობა 27.9% წ/წ (1.6 პ.პ.)
 - გრანსპორტი და დასაწყობება: 25.3% წ/წ (1.7 პ.პ.)
 - სამთომოპოვებითი მრეწველობა: 22.5% წ/წ (0.3 პ.პ.)
 - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 16.8% წ/წ (0.2 პ.პ.)
 - ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები: 10.4% წ/წ (0.7 პ.პ.)
 - საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი : 13.8% წ/წ (0.7 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიგანა შემდეგმა დარგებმა:
 - უმრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -8.7 წ/წ (-1.1 პ.პ.)
 - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები: -8.8 წ/წ (-0.6 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2022 IV კვარტალი




წყარო: საქსტატი

მარტის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 5.3 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სებ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 13.9 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




- თებერვალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 6.3 პროცენტით და გაუტოლდა 456 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 26.5 პროცენტით და გაუტოლდა 238 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 5.4 პროცენტით და გაუტოლდა 964 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 13.9 პროცენტით და გაუტოლდა 508 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა 26.3 პროცენტი (107.7 %წ/წ), ხოლო ნედლეულის ექსპორტმა შეიგანა უარყოფითი 15.4 პროცენტის წვლილი (-35.5 %წ/წ).
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეადგინა 4.2, 3.0 და -12.6 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %




ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი




- ექსპორტის გოპ საქონელი:
 - მსუბუქი ავტომობილები: 132.6 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 29.1 პროცენტი.
 - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 75.3 მლნ აშშ დოლარი - 16.5 პროცენტი.
 - ფეროშენადნობი: 20.9 მლნ. აშშ დოლარი - 4.6 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი




- იმპორტის გოპ საქონელი:
 - მსუბუქი ავტომობილები: 106.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი იმპორტის 11.0 პროცენტი.
 - ნავთობის აირები: 84.9 მლნ აშშ დოლარით - 8.8 პროცენტი.
 - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 75.9 მლნ აშშ დოლარით - 7.9 პროცენტი.

- ექსპორტის გოპ ქვეყნები:
 - ჩინეთი: 80.7 მლნ. აშშ დოლარი, 17.7 პროცენტი.
 - სომხეთი: 63.2 მლნ. აშშ დოლარი - 13.9 პროცენტი.
 - აზერბაიჯანი: 59.3 მლნ. აშშ დოლარი, 13.0 პროცენტი.

- იმპორტის გოპ ქვეყნები:
 - რუსეთი: 162.9 მლნ. აშშ დოლარი - 16.9 პროცენტი.
 - თურქეთი: 154.5 მლნ. აშშ დოლარი - 16.0 პროცენტი.
 - ჩინეთი: 68.8 მლნ. აშშ დოლარი - 7.1 პროცენტი.

წმინდა ფულადი გზავნილები, 2023-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, თებერვალი 2023

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, კპ
რუსეთი	184.2	1077.0	107.6
იტალია	38.1	17.6	3.9
აშშ	28.9	41.3	5.4
ისრაელი	16.0	17.2	1.5
საბერძნეთი	15.9	12.5	1.1
ყაზახეთი	11.9	-7.9	-0.7
სხვა	49.7	4.8	1.4

- 2023 წლის თებერვალში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 344.7 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 120 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წელთან შედარებით კი 220 პროცენტით.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - რუსეთი: 1077 პროცენტი (107.6 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - გერმანია: 26.8 პროცენტი (1.9 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - აშშ: 41.3 პროცენტი (5.4 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).
 - იტალია: 17.6 პროცენტი (3.9 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია).

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - ყაზახეთი: -7.9 პროცენტი (-0.7 კ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წყარო: სებ

თებერვალში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წლიურად 13.9 პროცენტით გაიყარდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	31 მარტი, 2023	31 მარ 2023 - 1 იან 2023	31 მარ 2023 - 1 იან 2022
ევრო	2.7862	▲ 3.5%	▲ 25.6%
აშშ დოლარი	2.5604	▲ 5.5%	▲ 20.7%
თურქული ლირა	0.1336	▲ 8.0%	▲ 278.3%
რუსული რუბლი	0.0331	▲ 10.9%	▲ 15.8%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	174.88	▲ 6.3%	▲ 33.4%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი 2023)	146.26	▲ 0.7%	▲ 15.7%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მარტი 2023




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ




ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი




- 2023 წლის მარტში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 1481 მლნ ლარი, რაც 15.7 პროცენტით ჩამორჩება დაგეგმილ მაჩვენებელს.
- 2023 წლის თებერვალში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 20.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები 16.0 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 133 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა უარყოფითი 156.2 მლნ ლარით.
- 2023 წლის თებერვალში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ბრღამე მნიშვნელოვანი გაველენა იქონია საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავალმა 8.4 და 7.2 პროცენტის კონკრეტიზაციებით მთლიან ბრღამეში.


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი




ფასიანი ქალაქების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით






- 2023 წლის მარტში ჩაგარდა 5 აუქციონი ჯამური გამოშვებით 239,75 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8,83% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობის და 3, 5 და 7 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 35 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქალაქები.
- 2023 წლის 31 მარტისათვის სახელმწიფო ფასიანი ქალაქების პორტფელის 20% ფორმირებული არის იმ ფასიანი ქალაქებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ფორტფელში ყველაზე დიდი წილი უკავია 1-დან 3 წლამდე ობლიგაციებს (დაახლოებით 37%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (თებერვალი 1,77) შედარებით შემცირდა და 1,55 შეადგინა.

სესხების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია



- 2023 წლის 1 მარგის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 55.3 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 70.2 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 37.2 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 44.4 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 70.1 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 29.3 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 52.7 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 42.3 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 36.6 პროცენტს შეადგენს.


სესხების წლიური ზრდა

2/28/2023




სესხების წლიური ზრდა

2/28/2023



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ


2/28/2023



- 2023 წლის 1 მარგის მდგომარეობით, 2022 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 10.4 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 6.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 13.8 პროცენტს შეადგენს.
- 2023 წლის 1 მარგის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 16.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 3.6 პროცენტს გაუტოლდა.
- 2023 წლის 1 მარგის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 11 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 21.2, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 3.5 პროცენტით გაიზარდა.


დეპოზიტების წლიური ზრდა

28.02.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა

28.02.2023




დეპოზიტების წლიური ზრდა

28.02.2023




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2023 წლის 1 მარტის 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 27.6 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 24.7 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 28.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 28 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2023 წლის მარტის დასაწყისში შეადგინა 28.1 პროცენტი.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 9.4 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 50.6 პროცენტი.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი





- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2023 წლის 29 მარტს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 11.0 პროცენტზე დატოვა.
- სებ-ს მიხედვით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია და პანდემიისგან წარმოქმნილი მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო მეტად გაამძაფრა. თუმცა ბოლო პერიოდში საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების დასტაბილურების ნიშნები იკვეთება. ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების შედეგად ნავთობპროდუქტების ფასებმა დაიკლო. ამავდროულად, საერთაშორისო გრანსპორტირების ფასები სწრაფი ტემპით შემცირებას განაგრძობს, რაც იმპორტირებული პროდუქტების ფასებზეც უნდა აისახოს. საქართველოში ინფლაციამ პიკური პერიოდი უკვე გაიარა. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ სამიზნე ინფლაციამე მაღლა რჩება, მიმდინარე წლის მარტში ფაქტობრივმა ინფლაციამ 5.3 პროცენტი შეადგინა, მას შემცირების გენდენცია აქვს. მოსალოდნელია, რომ, გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, აღნიშნული გლობალური ტენდენციები ეტაპობრივად ადგილობრივ ბაზარსაც გადმოეცემა, რამაც ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი.
- მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხლომა 2023 წლის 1 მაისს ჩატარდება.
- 2023 წლის მარტში ეროვნულ ბანკს სავალუტო ინტერვენციები აუქციონის მეშვეობით არ განუხორციელებია.

წყარო: სებ

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2023 წლის 1 მარტის მდგომარეობით უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 11.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.4 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 1.7 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 11 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.7 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.6 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 16.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 17.8 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.9 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2023 წლის მარტის ბოლოს 14.3 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 8.8 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 6.5 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო